ახალი ხარაგაული

405 (13) 16 სექტემბერი, 2019 წ.

სოფლებში წყლის მიღების განაწილება დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მერიის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა, რომელზეც ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

ხარაგაულის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა გრძელდება. სოფლის პროექტების შესრულება აქტიურ ფაზაშია. ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სამუშაოები დასრულებულია.

შეხვედრაზე წყლის მილების განაწილების საკითხზეც იმსჯელეს, რომელიც მერიამ სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაციის მიზნით შეიძინა.

მილები დასაწყობებულია და წარმომადგენლები, მოთხოვნების შესაბამისად, გაანაწილებენ მოსახლეობაში.

სამუშაო თათბირი, ძირითადად, კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერმა კონკრეტული პრობლემები მოისმინა და წარმომადგენლებთან ერთად გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

„კოორდინირებული ურთიერთობა გქონდეთ მოსახლეობასთან. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ხელისუფლება არის მათთან ახლოს, მათ სამსახურში,“-განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

ეკა შავიძე

იმერეთის გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე ხარაგაულის მოსახლეობას შეხვდა

იმერეთის რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრები ინტენსიურად მიმდინარეობს. ამჯერად შეხვედრა ვარძიის, ზვარისა და ვერტყვიჭალის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა. ადგილობრივებს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაკიძემ, პარლამენტის ვიცე - სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა, ხარაგაულისა და ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ მოუსმინეს. მოსახლეობამ ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და სხვა საჭიროებებზე. თავის მხრივ კი სამთავრობო გუნდმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ მიაწოდა მოსახლეობას ინფორმაცია.

2019 წელს ხარაგაულში, ინფრასტრუქტურის მიმართულებით, მიმდინარეობს და დაგეგმილია გზების მშენებლობა, სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია, ამბულატორიების მოწესრიგება, წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი და სხვა. ასევე, გრძელდება სოფლების გაზიფიცირება. გარდა ამისა, აქტიურად ხორციელდება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები.

მთავარ პრობლემად გამოიკვეთა ხეტყეზე ხელმიუწვდომლობა, ასევე, საშეშე მერქნისთვის ტყე-კაფების არახელსაყრელ ადგილებზე გამოყოფა. ცენტრალური, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფ-

ლების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ყველა დასმული საკითხი იქნა ჩანიშნული, რათა ცენტრალური ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნები.

შეხვედრაზე გიორგი ვაშაკიძემ განათლების სფეროში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან სიახლეზე ისაუბრა და უპასუხა შეკითხვებს პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრაციის ხელფასების ზრდასთან, სკოლების ინტერნეტიზაციასთან, სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დაფინანსებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სასკოლო ინფრასტრუქტურისთვის 410 000 ლარი გამოეყო, რომელიც ათ სკოლაზე გადანაწილდა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის მოსახლეობასთან შეხვედრების მთავარი მიზანი არსებული პრობლემების გაცნობა და მათი მთავრობის მიერ 2020 წლისთვის გადასაჭრელ საკითხთა ნუსხაში ასახვაა.

ეკა შავიძე

სიახლეები საგანმანათლებლო სფეროში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საჯარო სკოლებში სწავლა 16 სექტემბერს იწყება. როგორ ხვდებიან ხარაგაულის საჯარო სკოლები ახალ სასწავლო წელს, რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და რა იგეგმება სამომავლოდ, ამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს მარინე ვეფხვაძეს ვესაუბრეთ:

„სიახლეები საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე წელს ბევრია. ვფიქრობ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ რთული, მაგრამ სწორი კურსი აირჩია. ბევრ ახალგაზრდა კადრს მიეცა საჯარო სკოლებში დასაქმების შესაძლებლობა. განისაზღვრა საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი, რომლის თანახმად ჯილდოს ოდენობა გამოითვლება ბოლო 3 თვის განმავლობაში პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის გადამრავლებით 24-ზე.

მნიშვნელოვანია, რომ 2019-2020 სასწავლო წლიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებს ადაპტირებული ვერსიით დაუბრუნდება. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელიც ეფუძნება, როგორც ეროვნულ და კულტურულ საფუძველს, ასევე, სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

მომავალ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედი განათლებაში იქნება ჩადებული.

ეს არის ძალიან დიდი გამოწვევა სკოლებისთვის, უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

-რამდენად მოწესრიგებულია სკოლებში ინფრასტრუქტურა და რომელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები?

-ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მეტ-ნაკლებად ყველა სკოლას სჭირდება. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა დანაზოგი და მცირე პროექტებს საკუთარი სახსრებით ახორციელებენ.

მიმდინარე წელს სამინისტროს მიერ ხარაგაულის სკოლების ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი იყო 410 000 ლარი. შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად სამართლიანად და სწორად გადაგვენაწილებინა თანხები. პირველ რიგში, შეირჩა 15 სკოლა, აქედან წელს ათის რეაბილიტაცია მოხერხდება.

სამუშაოები მიმდინარეობს მესამე საჯარო სკოლაში. თეთრაწყაროში, სადაც დროებით კიცხის სკოლის მოსწავლეები გადავლენ. გადაიხურა მოლითის საჯარო სკოლის შენობა. სველი წერტილი შენდება ლეღვანში. ასევე რეაბილიტაცია ტარდება: ღორეშის, ნადაბურის, საღანძილის საჯარო სკოლებში. ბორის სკოლაში სასწავლო კორპუსის მესამე სართულზე იატაკი გამოიცვალა. საჭირო თანხები დარჩენილია ხიდარში სველი წერტილის ასაშენებლად და ბორითში ადაპტირებული შესასვლელის მოსაწყობად. რადგან სწავლის დაწყებამდე სამუშაოების დამთავრება ვერ მოხდებოდა, ეს საკითხები დროებით შეჩერებულია.

მოგეხსენებათ, წელს კიცხის საჯარო სკოლის დემონტაჟი დაიწყო და 2019-2020 წლებში ახალი შენობა აიგება. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სამ სკოლას: ვერტყვიჭალის, წყალფორეთისა და მარელისის საჯარო სკოლებს.

-რას გვეტყვით სასკოლო ავტობუსებთან დაკავშირებით. ხომ არ იგეგმება ახალი ხაზების დამატება?

-2018-2019 სასწავლო წელს სკოლებს 122 მიმართულებით ემსახურებოდა ტრანსპორტი. მოგეხსენებათ, ხარაგაული რთული რელიეფით გამოირჩევა, თითო სკოლაში სამი-ოთხი მიმართულებით მოძრაობს სასკოლო ავტობუსი. წელს მცირეოდენი ცვლილებები იქნება. სამარშრუტო ტაქსი იმოძრავებს კიცხის მიმართულებით. დამატებაზე ასევე რამდენიმე სკოლიდან არის მოთხოვნა.

-2019-2020 სასწავლო წელს რამდენი პირველკლასელია მუნიციპალიტეტის მასშტაბით?

-სამწუხაროდ, მოსწავლეთა კონტინგენტი მცირდება. წელს 158 პირველკლასელია დარეგისტრირებული. სოფელში სკოლის არსებობა უმნიშვნელოვანესია და ძნელია, როდესაც ზოგან კლასში თითო-ოროლა ბავშვია, ან, საერთოდ, არაა. დაცლილი სოფელი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწუხარია. ამისთვის ძალიან სერიოზული მუშაობაა საჭირო.

-2018 -2019 სასწავლო წელს რამდენმა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა და რამდენი გახდა სტუდენტი?

- სკოლა 174-მა ახალგაზრდამ დაამთავრა. მათგან 83 სტუდენტი გახდა. ხუთმა 100-პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა, ოთხმა - 70- პროცენტიანი, ექვსმა კი 50-პროცენტიანი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ წლევანდელი კურსდამთავრებულებიდან 27 მედალოსანი გვყავს.

- უახლოეს პერიოდში ხომ არ იგეგმება პედაგოგთა ანაზღაურების მატება?

-ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი, ოქტომბრიდან ანაზღაურება გაეზრდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელფასო ზრდა შეეხებათ რესურსცენტრების თანამშრომლებს, სკოლების დირექტორებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

- საპენსიო ასაკის რამდენმა პედაგოგმა შეწყვიტა საქმიანობა?

- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან საპენსიო ჯილდოზე მოთხოვნა 56 მასწავლებელმა გააკეთა. ვფიქრობ, მათი ღვაწლი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანესია. ხარაგაულში ყველა ერთმანეთს იცნობს და ვიცით, რამდენი ღირსეული პედაგოგი იყო დასაქმებული ამ სისტემაში, რამდენმა დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

საპენსიო ჯილდოსთან ერთად პედაგოგებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისარგებლონ უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულში პირველკურსელებთან შეხვედრა მოეწყო

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში, სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრის" (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ორგანიზებით, პირველკურსელებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს წევრები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალგაზრდებს სტუდენტობა მიულოცა და შემდგომში წარმატებები უსურვა ნიკოლოზ თოფურიძემ.

„საქართველოს მომავალი იქნება ისეთი, როგორებიც იქნებით თქვენ! ქვეყნის მომავალი თქვენს ხელშია და ყველაფერი გაქვთ იმისთვის, რომ იყოთ წარმატებულები. განათლება არის უმთავრესი ცხოვრების ყველა ეტაპზე. ისწავლეთ, გამოიყენეთ დრო რაციონალურად და იცოდეთ, ცხოვრებაში ვერავინ გაჯობებთ! " - ამ სიტყვებით მიმართა პირველკურსელებს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ.

სტუდენტებმა ისტორიული მუზეუმი დაათვალიერეს, სადაც ყურადღება ახლად გახსნილ გალერეაზე გაამახვილეს. ამის შემდეგ კი ისინი მაცხოვრის შობისა და 12 მოციქულის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მამა თომამ (ლაცაბიძე) დალოცა. „გილოცავთ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას. ჩვენს ქვეყანას ნამდვილად სჭირდება განათლებული საზოგადოება. სწორედ განათლება არის წიგნიერებისა და სულიერების ერთობლივი კავშირი. მოხარული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან კარგი მომავალი თაობა ჰყავს, უფალმა დაგლოცოთ!"

ტრადიციისამებრ, ღონისძიებამ კონკურსის ფორმატში გადაინაცვლა, სადაც ალაფურშეტის თანხლებით ახალგაზრდები სახალისო აქტივობებსა და შეჯიბრებებში ჩაერთნენ. დასკვნითი ღონისძიების წამყვანი ნინო ჭიპაშვილი გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 2018-2019 სასწავლო წელი 174-მა მოსწავლემ დაასრულა. აქედან 83 საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, 15 მათგანი კი გრანტის მფლობელია.

თამარ მაღრაძე

ხიდრისა და კიცხის მოსახლეობის ინიციატივით დოლი ჩატარდა

უკვე მეორე წელია, კიცხისა და ხიდრის მოსახლეობის ინიციატივით, დოლი ტარდება, რომელშიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სოფლებიდან იღებენ მონაწილეობას. წელს, დოლის ფარგლებში, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-დეგუსტაციაც გაიმართა.

საცხენოსნო გარბენი საქარიქედის მინდვრებზე სამ ტურად ჩატარდა. ფინალში გადასული ექვსი ცხენოსნიდან პირველი ადგილი ხრლითელმა ზაზა გურიელმა დაიკავა, მეორე ადგილზე კიცხის მკვიდრი ავთო ფოფხაძე გავიდა, მესამე ადგილი კი, ხიდრელ ზურაბ ჩაჩანიძეს ხვდა წილად.

ღვინის დეგუსტაციაში კი ყველაზე მეტი მოწონება ახალგაზრდა გიორგი ლილაძის ღვინომ დაიმსახურა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„კარგი იქნება, თუ ამ ზონაზე შემოდგომის პირველ კვირაში დოლის ჩატარება და ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაცია ტრადიციად დამკვიდრდება. დროთა განმავლობაში სხვა დატვირთვებსაც შეიძენს და საერთო სახალხო დღესასწაულად გადაიქცევა." - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ხარაგაულის მერმა გამარჯვებულები სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა .

ეკა მაჩიძე

დაზარალებულ ოჯახს ხარაგაულის მერიამ სახლი შეუძინა

მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეჟათუბანში მცხოვრებ თამაზ კაკიაშვილს მუნიციპალიტეტის მერიამ ახალი სახლი შეუძინა.

სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროცესში თამაზ კაკიაშვილის სახლი მწყობრიდან გამოვიდა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა.

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული დაზარალებული ოჯახის პრობლემების შესწავლაში, პირადად მიულოცეს ახალმოსახლეობა კაკიაშვილების ოჯახს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სახლის შესაძენად 10 000 ლარი გადაირიცხა.

დეპუტატებმა საკრებულოს კომისიების მუშაობა დადებითად შეაფასეს

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე კომისიის თავმჯდომარე გიგი თხელიძემ წარადგინა. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც სხდომებზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განიხილეს. მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში 170 000 ლარით არის გაზრდილი სოციალური პროგრამები. მოხსენებით ნაწილში ყურადღება გამახვილებული იყო ა(ა)იპ „სათნოების სახლზე." კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ არსებული დაფინანსების ფარგლებში, სამსახური დადებითად ართმევს თავს ბენეფიციარების მომსახურებას.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს. ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან აბაშიძე საჭიროდ თვლის ქუდსამანიაში მედპერსონალის მუშაობას. მისი თქმით, სოფელი მაღალმთიანი სტატუსის მქონეა და მოსახლეობას ადგილზე ექთანი მაინც უნდა ემსახურებოდეს.

მოლითის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვახტანგ ტალახაძემ უპატრონო ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის აუცილებლობაზე ისაუბრა. „ეს უკანასკნელი საკმაოდ მრავლადაა მუნიციპალიტეტის მასშტაბით და მოსახლეობის მიმართ აგრესიას გამოხატავს, რაც მათ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის,"-განმარტა ტალახაძემ.

ამავე სხდომაზე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა ამავე კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძემ.

როგორც ფხალაძე ამბობს, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 17 სხდომა, რომლებზეც განიხილეს მუნიციპალიტეტისათვის აქტუალური საკითხები. მომხსენებელმა დეპუტატებს დეტალურად მიაწოდა ყველა ინფორმაცია.

გარდა ამისა, დეპუტატებმა მოისმინეს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში, რომლის შესახებაც ვრცლად კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა ისაუბრა. მისი ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, შეიმუშავა შენიშვნა-რეკომენდაციები და მოითხოვა მათი გათვალისწინება. საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებითა და კომისიის აქტიური ჩართულობით, გაიზარდა საბავშვო ბაღების გაერთიანების, ხიდ-ბოგირების მშენებლობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის ხარჯები.

საბოლოოდ, უმრავლესობამ წარმოდგენილი კომისიების ანგარიშები დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

სიახლეები საგანმანათლებლო სფეროში

დასაწყისი ▶ 1 გვ.

20 ახალი მასწავლებლობის მაძიებელი შევიდა საჯარო სკოლებში, ხოლო 15 ადგილზე გამოცხადდა ხელახალი ვაკანსია.

-როგორც ჩვენთვის ცნობილია, სარგვეშის საჯარო სკოლას უნდა მიენიჭოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის დავით V დევდარიანის სახელი. რას გვეტყვით ამის შესახებ?

-ძალიან დიდი სიკეთე გამოიჩეტა უფალმა ჩვენთვის. გასულ საუკუნეებში საქართველოს ხარაგაულიდან ორი კათოლიკოს-პატრიარქი ჰყავდა. სარგვეშის საჯარო სკოლიდან მოგვმართეს შუამდგომლობით, რომ სკოლაში მოწყობილიყო სოფლის მკვიდრის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, დავით V დევდარიანის, კუთხე. საბოლოოდ, დღის წესრიგში, სკოლისათვის მისი სახელის მინიჭების საკითხი დადგა. ვფიქრობ, ეს მისასალმებელია, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ უწმინდესის მშობლიური სოფლის სკოლაში მხოლოდ 7 მოსწავლე დაგვრჩა.

-ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დაინიშნა სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი. ვინ შეირჩა ამ თანამდებობაზე და რა უფლება - მოვალეობები აკისრია მას?

-სამინისტროს მითითების შესაბამისად, 2019 წლის 15 ივლისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის, სკოლამდელი განათლების სპეციალისტის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის შერჩევის მიზნით, გამარტივებული კონკურსი გამოცხადდა. სულ 11 კანდიდატი დარეგისტრირდა. საბუთების გადარჩევის შემდეგ 9 მათგანი იქნა გასაუბრებაზე მიწვეული. ოთხი პირიდან, რომლებიც გასაუბრებაზე გამოცხადდნენ, შეირჩა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი ნათია კაკიტაძე.

სკოლამდელი განათლების სპეციალისტს ევალება, ხელი შეუწყოს: განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობას სკოლამდელი განათლების საკითხებთან დაკავშირებით. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტისა და პროგრამის დანერგვასა და მონიტორინგს.

დასასრულს მინდა, ყველა პედაგოგსა და მოსწავლეს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება, ნაყოფიერი და წარმატებული წელი ვუსურვო.

თამარ მაღრაძე

ეს ოცნება უეჭველად აამისრულდება!..

ამ წერილმა, რომელიც სოფელი ფარცხნალისა და მისადმი ცნობილ პიროვნებათაგან დიდი ინტერესის შემცველია, კარგა ხანს შემაყოვნა, თუ რა მხატვრული გამომსახველობის საშუალებებით გაჯერებული შესავალი მომერგო მისათვის...

უჰ, რაღა მორს მიდგიარ ფიქრით? ასი წერილიც რომ დავწერო ფარცხნალზე, შესავლად მასზე უკეთესს რას მოვარგებ, რაც ხარაგაულისა და ამ სოფლის ჭეშმარიტ მეხოტბეს - რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის მესაჭეს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, აქვს სიტყვათა ჩვეული ოსტატობით გზამკვლევად წამძღვარებული საავტორო წიგნისათვის „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო."

„საქართველოში მშვენიერ, გამორჩეულ სოფლებს რა გამოლევს...

ფარცხნალი მათ შორისაც გამორჩეულია...

მშვენიერებით?! ტერიტორიით?! ინფრასტრუქტურით?!

-არა და არა...

ასე შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რადგან საქართველოს ასეულობით სოფლიდან, ყველა რაღაცით გამორჩეული და განსაკუთრებულია...

და მაინც - ფარცხნალი სრულიად განსაკუთრებულია... თუ რით, ამას ამ წიგნში ნაიკითხავთ...

ეიეი, ნაიკითხავთ და დამეთანხმებით!..

იამაყეთ, რომ ეს სოფელი მართლაც ერთადერთია, არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც კი...

ამ სოფლის მინაზე ფეხადგმულმა ადამიანებმა მსოფლიოს ვააცნეს საქართველო...

ეს ადამიანები იმსახურებენ, მათი ადგილის დედაც გავაცნოთ მსოფლიოს...

და ეს წიგნიც ამ სურვილის მოკრძალებული მცდელობაა..."

აღნიშნული წიგნის პოპულარობაზე საუბარს ზედმეტად მიიჩნევ, მაგრამ ის დადებითი რეზონანსი, რაც ამ წიგნს მოჰყვა ინტელექტუალურ საზოგადოებაში, ნამდვილად ხაზგასასმელია.

ჩემი წერილიც სწორედ მისგან იღებს სათავეს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ფარცხნალისადმი ინტერესმა კინემატოგრაფიის კარიც შეაღო, ნამდვილად შთამბეჭდავი და სასიამოვნოა.

აი რა აღნიშნა ჩვენთან საუბარში ცნობილმა რეჟისორმა და ოპერატორმა, სტუდია „პოინერფილმის" ხელმძღვანელმა ბატონმა გრიგოლ ჩიგოგიძემ.

-როცა მეცნიერებათა აკადემიაში მოვწყო წარდგენა ქალბატონი იზა ვეფხვაძის წიგნისა „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო" და შემდეგ დაწერილებით გავეცანი ამ წიგნის მინაარსს, დამებადა სურვილი, რომ ფილმი შევქმნა ფარცხნალზე. ეს ჩანაფიქრი, უპირველესად, ქალბატონ იზას გავუზიარე...

მე გარკვეული ურთიერთობა მაქვს ხარაგაულის ცნობილ ადამიანებთან. ჩვენი სტუდია საინტერესოდ თანამშრომლობს ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლთან. არასდროს დამავიწყდება ის დიდი სიხარული, რაც ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა და ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ განმაცდევინა თბილისში სპექტაკლით „მარადიული პოინერფილმელი." ამ სიხარულმა ნამდვილად ზენიტს მიაღწია, როცა მიმდინარე წლის 12 ივნისს აღნიშნული სპექტაკლი ხარაგაულის კინოთეატრში გაიმართა და ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებიც ჩაერთნენ.

ფილმის შესახებ, როცა ზემოაღნიშნული სურვილი გავუზიარე ქალბატონ იზას, მან დაადასტურა ჩვენს სურვილთა თანხვედრა...

* * *

და აი, ბატონი **გრიშა ჩიგოგიძე** (როგორც მას უყვე კარგა ხანია, სიყვარულით მიმართავენ - გრიშა მასწ!) სამ „პოინერფილმელთან" ერთად ეწვია საინტერესო ჩანაფიქრის განსახორციელებლად სოფელ ფარცხნალს.

ფილმი, (რომელიც, სავარაუდოდ, ნოემბერში იქნება) რეალურ ამბავზეა აგებული: ორი უცხოელი ახალგაზრდა - გერმანელი ნინა ზიგერი და ისრაელიდან ებრაელი ლეონ შავიტი - რომლებიც გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ ფარცხნალის შესახებ, მატარებლით მოემგზავრებიან ხარაგაულში, რომ შემდეგ ეწვიონ ფარცხნალს - სახელოვან ადამიანთა სამკვიდროს.

საერთოდ ეს ახალგაზრდები დაინტერესებული არიან ქართველი ხალხის ისტორიით, კულტურით. სუსტად, მაგრამ მაინც ახერხებენ საუბარს ქართულად.

სწორედ ამ დღეს, რკინიგზის სადგურზე გამობრძანებული ხარაგაულის კოლორიტი ბატონი იოზა (ვალოდა) კელენჯერიძე ხალხში თვალს მოჰკრავს ქალბატონ იზა ვეფხვაძეს და მისგან შეიტყობს, რომ ელოდება მატარებელზე უცხოელ ახალგაზრდებს.

იზა ვეფხვაძე - ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი:

- ძნელია აღწერო ის განცდა, რაც თითოეულ სტუმარს დაეუფლა, როცა გავეგზავრეთ ფარცხნალისაკენ და გამოჩნდა სოფლის უმშვენიერესი სანახები... ემოცია განსაკუთრებით გაუძლიერდათ, როცა ეწვიენენ: ეკვენი, არჩილ, ანა, რუსუდან ხარაძეების, კოტა ბუაჩიძის, რეზო, მერაბ და ოლღა თაბუკაშვილების ეზო-კარს, მიესიყვარულნენ პოეტთა მეფის, გალაკტიონ ტაბიძის, ხელით დარგულ მუმრიალე ცაცხვს, ინტერესით დაათვალიერეს ელგუჯა ხარაძის სახლში განთავსებული გალაკტიონის ოთახი-მუზეუმი. განსაკუთრებულ კრძალვას განიცდიდნენ, როცა ხელით ეხებოდნენ ამ დიდ ადამიანთა პირად ნივთებს. სტუმრებს ვესაუბრე იმ ღირსეული ფარცხნალელების შესახებაც, რომელთაც თვალსაჩინო კვალი აღბეჭდეს თავიანთი მოღვაწეობით და რომელთა თვალსანიერიც ამ მშვენიერი სოფლიდან დაიწყო, თუმცა მათი საცხოვრებელი სახლები დღეს უკვე აღარ არის სოფელში. სიამაყით გავუსვი ხაზი იმ ფაქტს, რომ რვა ცნობილი ფარცხნალელის სამუდამო სავანე დიდუბის პანთეონშია.

მწამს, უფლის ნებით, კეთილი ოცნება უეჭველად ამისრულდება და ფარცხნალი იქნება მსოფლიოში პირველი სოფელი, რომელიც ნამდვილად მოიხდენს სოფელი-მუზეუმის სანატრელ სტატუსს.

უცხოელ ახალგაზრდებს გადაწყვეტილი აქვთ, როცა ფილმი მზად იქნება, წაიღონ გერმანიასა და ისრაელში, აჩვენონ სტუდენტებს, მოსწავლეებს, ფარცხნალისა და ხარაგაულის შესახებ წინასწარ ინფორმირებულ საზოგადოებას.

რაც ყველაზე მისასალმებელია, აშკარად შეინიშნებოდა ამ სამდღიანი ურთიერთობის პერიოდში, რომ უცხოელმა ახალგაზრდებმა საგრძნობლად გაიმდიდრეს ქართული სიტყვის საღარო, დახვეწეს ქართული მეტყველება.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაეუხადო ფილმის გადაღების ხელშეწყობისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ **ნიკოლოზ თოფურიძეს**, საკრებულოს თავმჯდომარეს ქ-ნ **მანანა ბარბაქაძეს**, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორს **ნიკოლოზ მაჭავარიანს**, მერის წარმომადგენელს ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში **გია ხარაძეს** და მშვენიერი ოჯახის მშვენიერ დიასახლისს, ქ-ნ **მარინა ხარაძეს**, რომელმაც სამდღიანი მასპინძლობით ცხადყო ის, რაც უძვირფასესია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის და გამორჩეულად იმერლისათვის...

მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატს ბ-ნ **იოზა (ვალოდა) კელენჯერიძეს**, რომელმაც გამგზავრების წინ მოინახულა სტუმრები, ჩვეული გულისხმიერებით უმასპინძლა და გზა დაულოცა.

გია ხარაძე (მერის წარმომადგენელი ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში): -საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სწავლულებმა, მკვლევრებმა, ხელოვანებმა, თავიანთი ღვაწლით მსოფლიოში გაბადეს ცნობილი სოფელი ფარცხნალი, მაგრამ, რასაც ქ-ნ იზა ვეფხვაძე აკეთებს კალმით, სიტყვითა და საქმით ამ სოფლის მიმართ ცნობადობის ამაღლებისათვის, ნამდვილად შეუფასებელია. სექტემბრის ამ უმშვენიერეს დღეებში ფარცხნალით დაინტერესებული უცხოელი ახალგაზრდების სტუმრობაც ამის დასტურია. სრული რწმენა მაქვს, რომ მიზანმიმართული ინტერესითა და კეთილ ადამიანთა თანადგომით

ქ-ნ იზა მიაღწევს, რომ ფარცხნალმა მოიპოვოს სოფელი-მუზეუმის სტატუსი.

მადლიერებას გამოვხატავ ფარცხნალის ღირსეული მკვიდრის ქ-ნ მარინა ხარაძის მიმართ, მან უზადო მასპინძლობით ნამდვილად მოხიბლა სტუმრები.

მარინა ხარაძე:-ჩემი ოჯახისათვის დიდი პატივია, რომ უმასპინძლა კეთილი მისითა მობრძანებულ სტუმრებს. მუდამ მზად ვარ, ვიყო აქტიური მხარდამჭერი და თანამონაწილე ყველა იმ კეთილი საქმისა, რაც ჩემი მშობლიური სოფლის ლამაზი ხვალინდელი დღის მომასნავებელია.

(მკითხველს შევახსენებ, რომ ქ-ნ მარინას ვაჟმა ფრიდონ გუჯეჯიანმა საკუთარი სახსრებით აღადგინა კახორის მთაზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. უფრო ფრცლად ამ მშვენიერი ოჯახის შესახებ ინფორმაცია ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დაიბეჭდება).

გამომშვიდობებისას ბატონმა **გრიგოლ ჩიგოგიძემ** აღნიშნა: იმერლთა მასპინძლობით ვის გააკვირვებ, მაგრამ ქალბატონმა მარინამ მასპინძლობის მასტერკლასი გვიჩვენა. ჩვენთვის დაუვიწყარი და აღმაფრთოვანებელია ხარაძეთა ოჯახში სამდღიანი სტუმრობა.

ოპერატორმა **მარიამ (მაშო) გიგილაშვილმა**, უცხოელმა ახალგაზრდებმა: **ნინა ზიგერმა** და **ლეონ შავიტმა** ღრმა პატივისცემა, უსაზღვრო სიყვარული და მადლიერება გამოხატეს მასპინძელთა მიმართ და აღნიშნეს, რომ ხარაგაულსა და ფარცხნალში მოლებული სითბო სიამოვნება არასდროს დაიკარგებათ.

გვწამს, ამ სითბოთი კვლავ ეწვევიან ეს ახალგაზრდები ამ მშვენიერ სოფელს, მაგრამ არა უბრალოდ სოფელ ფარცხნალს, არამედ როგორც სოფელ-მუზეუმს...

ინებოს ზენაარმან!

მერი ბიწორგიძე

საკრებულოს სხდომაზე მინის აღიარების კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

2 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მინის აღიარების კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, კომისია განიხილავს შემოსულ განცხადებაში არსებულ დოკუმენტაციას, მათ შორის, ფოტო მასალასაც. თუ მინის ფართობზე განთავსებულია ხის შენობა-ნაგებობა, ან თუ უძრავი ნივთი წარმოადგენს ცარიელ მინას და იგი არ ემიჯნება დაინტერესებული პირის უკვე კუთვნილებაში (2007 წლამდე) არსებულ მინის ნაკვეთს, გახუმარტავს, რომ განაცხადი ექვემდებარება დაუარებას და სთავაზობს კომისიასთან ერთად საკითხის დეტალურად გარკვევას. საახგარიშო პერიოდში უარი ეთქვა საკუთრების უფლების მონმობის გაცემაზე 430 დაინტერესებულ პირს.

იმ შემთხვევაში, თუ რეესტრიდან წარმოდგენილი მასალები ექვემდებარება მასზე წარმოების გაგრძელებას,

კომისია ატყობინებს დაინტერესებულ პირს და მოითხოვს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენას (პირადობის მოწმობის ასლი, ცხობა ადმინისტრაციული ერთეულიდან და 2 მოწმის ნოტარიულად დამოწმებული ჩვენება). რისი სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ აუცილებელია, ინახოს ადგილზე მინის ნაკვეთი, დადგინდეს ნახაზთან მიმართებაში მდებარეობის სიზუსტე, ფლობის და სარგებლობის ფაქტი და საზღვრები (მიჯნა). ამ პროცედურების ვადა კანონით განსაზღვრულია 2 თვიდან 6 თვემდე. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია 1077 განაცხადზე. წარმოება შეწყვეტილია ან შეჩერებულია 135-ზე.

შეგახსენებთ, საანგარიშო პერიოდი მოიცავდა 2016-2019 წწ. ინფორმაციას. ამ პერიოდში კომისიაში სულ 2401 განცხადება შევიდა.

თამარ მაღრაძე

გედლაშვანიაში „სასკოლო მზაობის ჯგუფი" იხსნება

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" გედლაშვანის საჯარო სკოლის N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 117 კვმ. ფართის „სასკოლო მზაობის ჯგუფის" ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემას ითხოვს. ამის შესახებ დეპუტატებმა 2 სექტემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე ამსჯელეს. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, განმარტებით, ზემოაღნიშნული ფართი მუნიციპალიტეტის მერიას გასული წლის ოქტომბერში 3 წლის ვადით გადაეცა. ახლა კი, დეპუტატთა გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ფართს სამი წლის განმავლობაში ბალების გაერთიანება განკარგავს.

ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი გაერთიანების დირექტორის, მამუკა ჭიპაშვილის, ინფორმაციით, სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის შესაბამისი ინვენტარი შეძენილია, საკადრო საკითხები მოგვარებულია და სწავლა 18 სექტემბერს დაიწყება.

ახალი სასწავლო წლიდან პირველკლასელები საჩუქრად განახლებულ „ნეთბუქებს" მიიღებენ

ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი საჩუქრად განახლებულ და გაძლიერებულ „ნეთბუქს" მიიღებს, რაც მათ სწავლა-სწავლების პროცესში საინფორმაციო და ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარება.

ზოგადი განათლების მიმართულებით ტექნოლოგიების განვითარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, გაეძლიერებინა ძველი „ბუქები", რომლებიც რეფორმით დაანონსებული სწავლების სტანდარტებს ვეღარ პასუხობდა. ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები, როგორც ტექნიკური მახასიათებლებით, ასევე განახლებული პროგრამებით აღჭურვილი კომპიუტერებით ისწავლიან.

კომპიუტერები „მაიკროსოფტ 365-ის" ლიცენზირებული პროგრამებითაა უზრუნველყოფილი. ასევე გაორმაგდა მყარი დისკისა და ოპერატიული მეხსიერების მოცულობა, რაც უფრო მეტი პროგრამის ინსტალაციისა და გაორმაგებული სიჩქარით მუშაობის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

განათლების სამინისტროს ცნობით, ამ დროისთვის ყველა საჯარო სკოლა ჩართულია უსაფრთხო ინტერნეტის ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. წლის ბოლომდე კი, თბილისსა და რეგიონებში, 400 სკოლა დამატებით უსადენო ინტერნეტით იქნება აღჭურვილი.

ეკა შავიძე

ვახანში მერაბ არევაძის სახელობის ტურნირი გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,ვახანლობა“ ჩატარდა, რომელსაც საფუძველი 28 წლის წინ ჩაეყარა. ამ დღეს სოფელში დიდი სტუმრიანობაა. ტარდება ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელიც ბოლო წლებია, გარდაცვლილი ახალგაზრდა რეინჯერის, ვახანელი მერაბ არევაძის, სახელს ატარებს. მასში მონაწილეობას იღებენ როგორც მოყვარული, ასევე პროფესიონალი სპორტსმენები სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულიდან. 2017 წელს, მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სპეციალურად ამ დღისთვის საჭიდაო არენა გაკეთდა.

დოღი 4 - კილომეტრიან დისტანციაზე გაიმართა. პირველი ადგილი გოგა ფერაძემ დაიკავა, მეორე ადგილზე გიორგი ცუცქირიძე გავიდა, ხოლო მესამე ადგილზე - შმაგი ცუცქირიძე.

ამავე დღეს სოფელში გაიმართა მერაბ არევაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელმაც სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებულები გამოავლინა.

სოფელში გამართულ სახალხო დღესასწაულს ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე დაესწრო, რომელმაც გამარჯვებულები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ღონისძიების მხარდამჭერი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური და სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრია.

ეკა შავიძე

ვახანში, ცუცქირიძეების უბანში, სატრანსპორტო გზა გაკეთდა

ხარაგაულის ერთ-ერთ სოფელში, იქ, სადაც ამ დრომდე საავტომობილო გზა არ ყოფილა, უგზოობის პრობლემა მოგვარებულია. სოფელ ვახანის ცუცქირიძეების უბანში ტრანსპორტით მისვლა უკვე შესაძლებელია. 10 წელზე მეტია, აღნიშნული უბნის მოსახლეობა საცალფეხო ბილიკით სარგებლობდა. პროექტი მერიის ჩართულობით, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

ვეტერანთა ადგილობრივი კავშირი - ორგანიზაციის პროგრამა და შეთავაზებები

„ვეტერანი“ არ ნიშნავს მოხუცსა და უძლურს, არამედ ნიშნავს დამსახურებულს, ცოდნითა და გამოცდილებით გამდიდრებულ ადამიანს, რომელსაც შეუძლია, კიდევ დიდი სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანასა და ხალხს.

1986 წლიდან საქართველოში არსებობს ვეტერანთა კავშირი, რომელშიც გაერთიანებულია დიდი სამამულო ომის, სხვა ქვეყნების ომში მონაწილე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, ასევე სამხედრო ძალების ვეტერანები.

„ვეტერანთა ადგილობრივი კავშირი“ გიწვევთ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად, სადაც საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის სრული საშუალება გექნებათ. ასევე თითოეული თქვენგანისათვის ხელმისაწვდომი გახდება ის შეღავათები, რასაც ვეტერანთა ცენტრალური კავშირი თავის წევრებს სთავაზობს. ვეტერანთა კავშირი მასში გაერთიანებულ პირებს უზრუნველყოფს სხვადასხვა პაკეტით, მათ შორისაა: 50%-მდე თანადაფინანსება სანატორიულ მომსახურებასა (ბორჯომი, წყალტუბო, საირმე, ახტალა) და სხვა სფეროში; ძვირადღირებული სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება; მედიკამენტების შეძენის დაფინანსება პრიორიტეტების დაცვით წელიწადში 150 ლარის ფარგლებში; უფასო სამართლებრივი მომსახურება (ადვოკატირება) და სოციალურ საკითხებში კონსულტირება. ზემოხსნებული პროექტებით სარგებლობა ვეტერანთა ადგილობრივ კავშირში გაერთიანებულ პირებს ექვსთვიანი საქმიანობის შემდეგ შეეძლებათ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ელვარდ გიორგიძეს. ტელ: 577 67 12 54

ხუოლებს ახალი საგანი - „მოქალაქეობა“- ემატება

მიმდინარე წელს VII კლასს ახალი სავალდებულო საგანი - ,,მოქალაქეობა“ დაემატება. რომლის სწავლა სავალდებულო VIII კლასის მოსწავლეებისთვისაც იქნება.

ახალი საგნის ფარგლებში მოსწავლეები 5 თემას გაივლიან: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ, სასკოლო გარემოს/სასკოლო საზოგადოებას, ჯანსაღ ცხოვრებას, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ასევე, ეკონომიკურ ურთიერთობებს თემში.

„მოქალაქეობის“ სწავლების საბოლოო მიზანია, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა, საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა, მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა, იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა, სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა, დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება და სხვა.

ეკა შავიძე

ერთლარიანი მედიკამენტების შეძენა უკვე შესაძლებელია

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ასაკით პენსიონერები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 35 დასახელების მედიკამენტის შეძენას 1 ლარად შეძლებენ.

იმისათვის, რომ მოქალაქემ პროგრამით ისარგებლოს, რეგისტრაცია უნდა გაიაროს სოციალური მომსახურების სააგენტოში. ბენეფიციარმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა რეგისტრაციისთვის თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV-100/ა). ცნობაში მითითებული უნდა იყოს ქრონიკული დაავადების დიაგნოზი, შესაბამისი ICD-10 კოდის მითითებით, მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტ(ებ)ის სახეობა და დღიური დოზა.

რეგისტრაციის შემდეგ, მედიკამენტის მისაღებად, პირი მიმართავს აფთიაქს, სადაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ექიმის (ოჯახის ექიმი, სოფლის ექიმი, ექიმი - სპეციალისტი) მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე მიიღებს კუთვნილ მედიკამენტ(ებ)ს; მომხმარებელს შეუძლია, ერთჯერადად შეიძინოს მხოლოდ 3 თვის მედიკამენტი; დიაგნოზის, მედიკამენტის ან დოზის ცვლილების შემთხვევაში, მოსარგებლემ საააგენტოში უნდა წარმოადგინოს განახლებული ფორმა N IV-100/ა, რომლის საფუძველზეც განახლდება რეგისტრაცია.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით ასაკით პენსიონერები და შშმ პირები 3 სექტემბრიდან სარგებლობენ. მოსახლეობის ინფორმირებისათვის გთავაზოთ იმ მედიკამენტთა ჩამონათვალს, რომლის შეძენაც პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი.

გულსისხლძარღვთა დაავადებებისთვის - ენალაპრილი, ენაპი, ლოსარ დენკი, ლორისტა, ამრადიპინი, ჰიპოთიაზიდი, ეგილოკი, ნებივოლოლი შტადა, დანები, ემკორი, კორდარონი, ვარფარინი ნიკომედი, დიგოქსინი - გრინდექსი, ვეროშპირონი, ატორვასტატინი, ტორვიტინი, ატორისი, მილტი, კლიპი, კლოპიდოგრელი, პეგორელი, მონოსანი, ფუროსემიდი, ამლოდიპინი, კარდიომაგნილი.

დიაბეტისთვის - სიოფორი, ამარილი, დიაბეტონი.

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისთვის - L თიროქსინი, ეუთიროქსი.

ფილტვის დაავადებებისთვის - პულმიკორტი, ეარფლუსალი, საფლუტინი, სალბუტამოლი, მედროლი, ბრეტარისი ჯენუეირი.

გარდა ამისა, პარკინსონით ან/და ეპილეფსიით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები მედიკამენტების შეძენისას სარგებლობენ მინიმუმ 75%-იანი ფასდაკლებით.

პარკინსონი - ნაკომი და მადოპარი.

ეპილეფსია - ლევეტირაცეტამი, ნეიროლეფსინი, დეპაკინი ქრონო, ლამოტრიქსი და ლამიქტალი.

თამარ მაღრაძე

მოლითი-ფონას გზის მშენებლობა დაიწყო

შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა დაიწყო.

25 - კილომეტრიანი მონაკვეთის კაპიტალურ რეაბილიტაციას, რომელიც სოფელ ბაბიდან იწყება და მოლითი-წიფა-ფონა-ჩუმათელეთის მიმართულებით გრძელდება, აზერბაიჯანული კომპანია „აკორდი“ განახორციელებს.

ამ დროისთვის კომპანიას მობილიზებული აქვს ტექნიკა ჩუმათელეთი-ფონას მხრიდან, სადაც წინა მოსამზადებელი სამუშაოები და მილხიდების მოწყობა უკვე მიმდინარეობს.

ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა ჩუმათელეთის 50 -კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია ორ ლოტადაა გაყოფილი. პირველ ლოტზე კომპანია „Black Sea Group-ი“ სამუშაოებს უკვე აქტიურ ფაზაში ახორციელებს. კომპანია ძირულა-მოლითის 25-კილომეტრიან მონაკვეთზე თითქმის ასრულებს ერთ-ერთ რთულ ეტაპს - გაბიონებისა და საყრდენი კედლების მოწყობას.

პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში 50-კილომეტრიან მონაკვეთზე იგეგმება 6 - მეტრიანი (1,5- მეტრიანი გვერდულებით ორივე მხარეს) გზის მოასფალტება.

საცხოვრებელი სახლი დაიწვა - ოჯახის დასახმარებლად სოციალური აქცია მიმდინარეობს

სოფელ ვახანში მხატრიშვილების მრავალშვილიან ოჯახს სახლი დაეწვა. სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადამ, მიუხედავად ოპერატიული მოქმედებისა, ხანძრის ლიკვიდაცია ვერ შეძლო. ხის სახლზე ცეცხლის ალი სწრაფად გავრცელდა. ხარაგაულის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინფორმაციით, მალხაზ მხატრიშვილის 8-სულიან ოჯახს მერის სარეზერვო ფონდიდან მაქსიმალურად დაეხმარებიან, რისთვისაც შესაბამისი რეაგირება უკვე დაწყებულია. ოჯახის წევრებს, რომლებმაც, ფაქტობრივად, სახლიდან ვერაფრის გამოტანა ვერ შეძლეს, უკვე შეხვდნენ მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე და მერის თანაშემწე ლაშა გელაშვილი. მათი ინფორმაციით, მხატრიშვილები დროებით ნათესავის სახლში იცხოვრებენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ დაზარალებულთათვის, პირველადი საჭირო ნივთების შეგროვების მიზნით, სოციალური აქცია განახორციელა. შეგროვდა ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები და საკვები პროდუქტები, რომლებიც მათ უკვე გადაეცათ.

აქცია კვლავ გრძელდება და დახმარების მსურველებს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურს. ტელ: 599 85 26 52 ნანა კიკნაძე; 599 37 23 72 ალექსანდრე ტაბატაძე.

შეგახსენებთ, რომ თეას და მალხაზს 6 შვილი ჰყავთ, უფროსი 16 წლისაა, უმცროსი - 1 წლის.

ეკა შავიძე

ქვიშის ფრენბურთის გამარჯვებული საღანძილის გუნდი გახდა

ხარაგაულში ე.წ. „დევების სანაპიროზე“ ქვიშის ფრენბურთის ტურნირი გაიმართა, რომელშიც ხუთი გუნდი იღებდა მონაწილეობას. ტურნირის გამარჯვებული სოფელ საღანძილის გუნდი გახდა. საღანძილე შეჯიბრში ორი გუნდით იყო წარმოდგენილი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე დაბა ხარაგული გავიდა. მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ტურნირის ორგანიზატორი ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრია“.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12